

დამტკიცებულია  
ბრძანება N1. 15.02.2017 წელი  
ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.საგარეჯოს  
საზოგადოებრივი კოლეჯის  
დირექტორი: იოსებ მათიაშვილი

**შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს  
საზოგადოებრივი კოლეჯის მისია:**

- მოამზადოს კონკურენტუნარიანი, პროფესიონალი სპეციალისტები და ხელი შეუწყოს ინდივიდის დასაქმებას და თვითდასაქმებას;
- პროფესიული განათლება მიუსადაგოს ადგილობრივ და ზოგადად ქვეყნის მოთხოვნებს; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები განახორციელოს საგანმანათლებლო სივრცეში არსებული პროფესიული სტანდარტებისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნების მიხედვით.
- სტუდენტს შესთავაზოს საუკეთესო კომფორტული სასწავლო გარემო.
- იზრუნოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთა სწავლის პირობების შესაქმნელად.
- რაიონში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისათვის შეიმუშაოს და დანერგოს ქართულენოვან მოსახლეობასთან ინტეგრაციის მექანიზმი, რომელიც მიმართული იქნება მათი პატრიოტული აღზრდის, პროფესიული განათლებისა და დასაქმებისაკენ.